საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საქართველოს

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 2143/01
26/02/2020

2143-01-2-202002261504

შპს „აბს“
მის: ქ. თელავი, თეთრიანის ქ. N 15

სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 17 თებერვლის წერილი N2683, რომელიც ეხება თელავის მუნიციპალიტეტში, სოფ. რუისპირში სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების სკრინინგის განცხადებას.

გაცნობებთ, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 20 ნოემბრის N 2-1116 ბრძანებით მიღებულ იქნა თელავის მუნიციპალიტეტში, სოფ. რუისპირის მიმდებარე ტერიტორიაზე (ს/კ 53.11.45.150) შპს „აბს“ სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამუშავებაზე სკრინინგის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც საქმიანობა დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

თქვენს მიერ სკრინინგის განცხადებით წარმოდგენილი საკადასტრო კოდის გადამოწმებით დადგინდა, რომ დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ტერიტორია (ს/კ 53.11.45.150) და N2-1116 ბრძანებით გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ტერიტორია ერთმანეთის იდენტურია.

გაცნობებთ, რომ ვინაიდან, სკრინინგის განცხადებით წარმოდგენილ ტერიტორიაზე და საქმიანობაზე უკვე გაცემულია სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება N 2-1116), სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს თქვენს მიერ წარმოდგენილი თელავის მუნიციპალიტეტის, სოფ. რუისპირში სასარგებლო წიაღისეულის (ღორღი) გადამუშავების სკრინინგის განცხადება.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044